| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობა I- ში განთავსებულნი არიან I -IV კლასის მოსწავლეები, ამავე შენობის I სართულზე მდებარეობს სამედიცინო ოთახი, კაფეტერია, დაცვის სამსახურის კაბინეტი, სკოლამდელი აღზრდის ოთახი, საქმისწარმოების ოთახი, საფინანსო განყოფილება, სათავსო მასწავლებლებისთვის , 1 სველი წერტილი.<br>მე-2 სართულზე განთავსებულია ფსიქოლოგის ოთახი, სპორტული დარბაზი რიტმიკისთვის-სააქტო საკონფერენციო დანიშნულებით. 5 საკლასო ოთახი, აღჭურვილი 75 ინდივიდუალური მერხით და სკამით,<br>III სართულზე განთავსებულია 4 საკლასო ოთახი , ასევე ჭადრაკის და ხატვის კაბინეტი. ამავე სართულზე საკლასო ოთახებში განთავსებულია 86 ინდივიდუალური მერხი და 90 სკამი.<br>**მეორე კორპუსში,** პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, დაცვის ოთახი, სველი წერტილები 2 - გოგონებისა და ვაჟებისთვის, კაფეტერია აღჭურვილია ყველა საჭირო საშუალებით.. ამავე სართულზე განთავსებულია სათავსო რუქებისთვის.<br>მე-2 სართულზე განთავსებულია: სველი წერტილები 1 გოგონებისთვის, 1 ვაჟებისთვის , თითოეული 2 განყოფილებით, მათგან ერთი ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეისთვის. 1 სველი წერტილი თანამშრომლებისთვის. ასევე , ამავე სართულზეა დირექტორის ოთახი, სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, 8 საკლასო ოთახი, სადაც არის 116 ინდივიდუალური მერხი და სკამი. თითოეული საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით და სკამით, ბორდმარკერის დაფით და ტელევიზორით. ტელევიზორი არ არის განთავსებული მხოლოდ მე-12 კლასის საკლასო ოთახში.<br>მე-3 სართულზე მდებარეობს კეთილმოწყობილი სააქტო დარბაზი, აღჭურვილი ტექნიკით, 150 სკამით. სკოლაში დამატებით განთავსებულია ახალი ინვენტარი 50 ინდივიდუალური მერხი და სკამი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სულ ჯამში 350 ინდივიდუალური მერხი დ 350 სკამი . |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• შესყიდვის აქტებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს დახურული, თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი სპორტული დარბაზი სკოლის ახლადაშენებული შენობის პირველ სართულზე. დარბაზის საერთო ფართია 146 კვ.მ. იგი აღჭურვილია საჭირო სპორტული ინვენტარით, კერძოდ, დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები, შვედური კედელი, მინი ფეხბურთის კარებები, მოწყობილია კუთხე მაგიდის ჩოგბურთისთვის, დარბაზში განთავსებულია ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის ბურთები, ბაგირი, ლახტი, ფიშკები და სხვ. მოწყობილია მოსწავლეთათვის გასახდელები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• შესყიდვის აქტებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასწავლებელს აქვს შპს "ინსტა ჯორჯიას" ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგია-ანატომიის ლაბორატორიები, რომელიც დაკომპლექტებულია ყველა იმ დასახელების აღჭურვილობისაგან, რაც მოცემულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ №572 ბრძანებით დამტკიცებულ სტანდარტულ საორიენტაციო პაკეტში.<br>ამასთან, 2019 წელს სკოლამ შეიძინა ფიზიკის ვირტუალური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ლაბორატორია (ღირებულებით 5 000 ლარი). სკოლამ ასევე შეიძინა ინოვაციური, ბოლო მოდელის, პროექტორი, რომლის ღირებულებაა 15 000 ლარი და არის მრავალფუნქციური - ასრულებს კომპიუტერის, სმარტდაფის ფუნქციას. აღნიშნული ტექნიკა განთავსებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში. მასში ჩატვირთულია ვირტუალური ლაბორატორია, რომელიც ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას შეისწავლონ საბუნებისმეტყველო საგნები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვირტუალური ლაბორატორიის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>• პროექტორის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>• შპს „ინსტა ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა არის გაზის, წყლის და ელექტროენერგიის მოხმარების დამოუკიდებელი აბონენტი. შენობას აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლის პირველ შენობაში არის 4 სველი წერტილი, ხოლო ახლადაშენებულ მეორე შენობის პირველ და მეორე სართულებზე გათავსებულია 5 საპირფარეშო, იზოლირებულად მოსწავლეთათვის და სკოლის ადმინისტრაციის წევრებისათის. საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათების შესაძლებლობით. თითოეულ შენობა უზრუნველყოფილის გათბობის ავტონომიური ბლოკით, რომლიც ბუნებრივ აირს მოიხმარს. საქვაბე ნაგებობა განთავსებულია შენობის გარეთ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• გადარიცხვის დამადასტურებელი საბანკო ამონაწერი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს ბიბლიოთეკა. რომლის წიგნადი ფონდი შეადგენს 9809 ერთეულს. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კლასის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. მათ შორის I-VI კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების (მოსწავლის რვეული) რაოდენობაა 100, ხოლო VII-XII კლასების სახელმძღვანელოების რაოდენობა 80. ბიბლიოთეკაში არის საინვენტარო წიგნი, მკითხველთა რეგისტრაციის ელექტრონული ჟურნალი, კატალოგი ბარათებით, მკითხველებს შეუძლიათ ელექტრონული კატალოგით სარგებლობა.<br><br>სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 კომპიუტერი, რომლებიც ჩართულია ინტერნეტის ქსელში. ბიბლიოთეკაში მოსწავლეებს შეუძლიათ ინტერნეტით სარგებლობა. ასევე განთავსებულია სასწავლო პროცესის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი პერიოდული გამოცემები.<br>ბიბლიოთეკას აქვს ელეტრონული მართვის სისტემა www.library.polygloti.edu.ge |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **ვიზუალური დათვალიერება, „ბიბლიოთეკის დებულება“,**<br>• **ხელშეკრულებები გამომცემლობებთან,**<br>• **საინვენტარო წიგნი,**<br>• **ელექტრონული კატალოგი**<br>• www.library.polygloti.edu.ge |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის ადაპტირებული გარემო სრულად შეესაბამება დადგენილ ნორმებს, მხოლოდ მეორე კორპუსში სპორტულ დარბაზში ჩასასვლელი კიბეზე არ იყო განთავსებული პანდუსი, რაც ვიზიტის პერიოდში აღმოიფხვრა. დღევანდელი მდგომარეობით სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ირიცხება, თუმცა სკოლის ორივე შენობაში შექმნილია ადაპტირებული გარემო მათი საჭიროებების გათვალისწინებით, თითოეული შენობის შემოსასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი. სკოლის პირველ შენობაში მეორე და მესამე სართულებამდე წვდომა შესაძლებელია კიბის უჯრედებზე დამონტაჟებული პანდუსებით, ხოლო სკოლის მეორე შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი. გამოყოფილია ადაპტირებული საპირფარეშოები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **ვიზუალური დათვალიერება** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი 15 პერსონალური კომპიუტერი და 5 ლეპტოპი, სკოლას აქვს ვებგვერდი. სკოლის ელექტრონული მისამართია www.polygloti.edu.ge; ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ასევე აქტიურია სოციალური გვერდი https://www.facebook.com/skolapoligloti/<br>ადმინისტრაციული წარმოებისთვის განკუთვნილია 3 კომპიუტერი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **ინვენტარიზაციის აქტი,**<br>• **კომპიუტერების ღირებულების გადარიცხვის** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დამადასტურებელი დოკუმენტი,<br>• ვიზუალური დათვალიერება,<br>• სკოლის ვებ გვერდები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობისაღწერითიმიმოხილვა და ანალიზი | სკოლას გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ორივე შენობაში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას, დერეფანში განთავსებულია ხანძრის ჩაქრობის საშუალება, ე.წ. ცეცხლმაქრი 12 (თორმეტი) ერთეული. სკოლის ორივე შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სატელეფონო ნომრები:<br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნომერი , საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე დირექტორის მიერ განსაზღვრული პირის, დაცვის თანამშრომლის მობილური; საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის, |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება,<br>• ცეცხლმაქრების შეძენის და გადატვირთვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა | სკოლაში ორივე შენობის ყველა სართულზე გამოკრულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| დაანალიზი | საევაკუაციო გეგმა; |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | **ვიზუალური დათვალიერება** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების უზრუნველყოფის მიზნით მოწყობილია სამედიცინო ოთახი, სადაც დაცულია პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარი და მედიკამენტები. სამედიცინო ოთახში ინახება წნევის გასაზომი აპარატი, თერმომეტრი- დისტანციურად თერმო სკრინინგის ჩასატარებლად, ბინტი, ჭრილობის დამცავი პლასტირი, სტერილური ბამბა და რამდენიმე სახეობის წამალი: ტკივილგამაყუჩებელი, წნევის დამწევი, ტემპერატურის დამწევი და სხვა; |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **ვიზუალური დათვალიერება,**<br>• **2019 წლის 21 ნოემბრის №1-13 ბრძანება სამედიცინო დარგში პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლამ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშავა და სკოლის დირექტორის 2020 წლის 15 იანვრის №2/1-03 ბრძანებით დაამტკიცა „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“;<br>სკოლის შემოსასვლელში დამონტაჟებულია ე.წ. დამაფონი;<br>სკოლას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება დაცვის თანამშრომელთან და ასევე არასასკოლო დროს სკოლის შენობის უსაფრთხოებას იცავს სსიპ 125, დაცვის პოლიცია მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“,<br>• ხელშეკრულება დაცვის თანამშრომელთან, ხელშეკრულება სსიპ 125-თან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს |

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობაში წესრიგის დაცვის მიზნით, კანონმდებლობის შესაბამისად, დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები 32 ერთეული, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის ორივე შენობის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება,<br>• კამერების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია,<br>• ინვენტარიზაციის აქტი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 2.7სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები |

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, საკუთარი წესდების, შინაგანაწესის საფუძველზე. შინაგანაწესი განსაზღვრავს და არეგულირებს სასწავლო პროცესის მართვის მექანიზმებს; სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილება-ვალდებულებას; სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (ან მათ კანონიერ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობებს; თანამშრომელთა მიღების წესს; მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მათი შეზღუდვის საფუძვლებს; მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის და ტექნიკური პერსონალის სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლებებს, ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის შრომის დაცვასა და ანაზღაურების წესს. სამუშაო დროის ხანგრძლივობსა, შესვენების და დასვენების დროს, დისციპლინას და დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს, ეთიკის ნორმებს, თანამშრომელთა და მასწავლებელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესებს, წახალისებისა და სანქციების გამოყენების პრინციპებს.<br><br>ასევე სკოლას აქვს შემუშავებული სასკოლო დებულება, რომელიც განსაზღვრავს სკოლის პრიორიტეტებს, სკოლის სტრუქტურას. შემუშავებულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების დებულებები (კათედრების დებულება, ინოვაციური ჯგუფის დებულება, მონიტორინგის ჯგუფის დებულება და სხვ.)<br>სკოლაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული შინაგანაწესი, ასევე უსაფრთხოების წესები. მოსწავლეთა ქცევის კოდექსი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი,<br>• სასკოლო დებულება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.8შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი | 2019-2020 სასწავლო წლისთვის სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ექვსწლიანი (2015-2021) სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელშიც გაწერილია ღონისძიებები სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებისათვის. ასევე მოცემულია სკოლის მიერ დასახული კულტურულ- საგანმანათლებლო ღონისძიებების გეგმა.<br>სკოლის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმები ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას და მოიცავს სკოლის ცხოვრების საგანმანათლებლო, მატერალური და ადამიანური რესურსების ასპექტებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **სკოლის დირექტორის 2019 წლის 09 სექტემბრის №2/1-09 ბრძანებით დამტკიცებულია ერთწლიანი (2019-2020) და 2015 წლის 08 სექტემბრის №1-08 ბრძანებით დამტკიცებული განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი, 2015-2021) სამოქმედო გეგმები** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი | სკოლაში ხორციელდება კორესპონდენციების, გამოცემული აქტების, დადებული ხელშეკრულებების აღრიცხვა, საერთო და საკადრო ბრძანებების, შრომითი და მოსწავლეთა მშობლებსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულებების, შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში. აღნიშნული დარეგულირებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესებით“, რომელშიც 2016 წელს შეტანილ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გᲐნᲐთლᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ გᲐნᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | იქნა საჭირო ცვლილება და დაემატა ახალი სარეგისტრაციო ჟურნალი, სკოლის კანცელარიის უფრო მეტად მოქნილი საქმიანობის ხელშეწყობისათვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს „პოლიგლოტის“ „საქმისწარმოების წესები“,<br>• სხვადასხვა ჟურნალები,<br>• ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული სათანადო რაოდენობის აკადემიურ და ტექნიკურ პერსონალთან. სკოლას ჰყავს 32 პედაგოგი (აქედან, 5 მასწავლეელი უსტატუსო - სწავლობენ მაგისტრატურის საგანამანათლებლო პროგრამაზე, გადიან 60 კრედიტიან პროგრამას და ელოდებიან დასრულებას) და სასკოლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო შესაბამისი რაოდენობის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ადმინისტრაციული და დამხმარე რესურსი. კერძოდ, მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობით და საორგანიზაციო საკითხებში, ოფისმენეჯერი, ბუღალტერი, და სხვ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **შრომითი ხელშეკრულებები თანამშრომელებთან** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 32 |
| მოწვეული/მაძიებელი | 7 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 6 |
| უფროსი მასწავლებლი | 14 |
| წამყვანი მასწავლებლი | 0 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლები შერჩეული არიან "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. ყველა მასწავლებელი აკმაყოფილებს კანონის 213-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.<br>სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **მასწავლებელთა პირადი საქმეები,**<br>• **დიპლომები, სერტიფიკატები** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

<table>
<tr><td colspan="2">3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა</td></tr>
<tr><td>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</td><td>სკოლაში თანამშრომელთა შერჩევა ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. გათავისუფლება ხორციელდება პირადი განცხადების, ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვალდებულებების დარღვევის საფუძველზე.<br>სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. მკაფიოდ არის გაწერილი დასაქმების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, ახალი საშტატო ერთეულის საჭიროების განსაზღვრა და ანალიზი, თანამშრომელთა შერჩევის პროცესი, თანამშრომელთა შეფასების პოლიტიკა და პროცედურები.<br>თანამშრომელთა შეფასების პროცესი მოიცავს როგორც პედაგოგების, ისე სხვა თანამშრომლების საქმიანობის შეფასებას.<br>თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგის მეთოდებია:<ul><li>არაფორმალური დისკუსიები/განხილვები;</li><li>შესრულებულ სამუშაოზე გაკეთებული პერიოდული მოხსენებების განხილვა;</li><li>მუდმივი დაკვირვებისა და მონიტორინგის განხორციელება;</li><li>გაკვეთილებზე დასწრება პერიოდულად, როგორც დირექტორის, ისე სხვა მასწავლებლის.</li></ul>სკოლაში არსებობს თანამშრომელთა წახალისების სისტემა მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება ან ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.</td></tr>
<tr><td>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</td><td><ul><li>კონკურსის ბრძანება,</li></ul></td></tr>
</table>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შინაგანაწესი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ყველა მასწავლებელთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, კანონმდებლობის სრული დაცვით. რომლებიც რეგისტრირებულია შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა ხელს უწყობს პედაგოგებს ითანამშრომლონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან, ხელს უწყობს პედაგოგებს მიღებული გამოცდილებების ურთიერთგაზიარებაში. იწვევს სხვადასხვა პროფილის ტრენერებს საკუთარი თანამშრომლების გადამზადების მიზნით. ხელს უწყობს თანამშრომლობას სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სკოლის საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარებას. თითოეულ პედაგოგს აქვს საკუთარი საგნობრივი პროგრამა. სკოლამ ძირითადად წარმოადგინა ტრენერეთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგების ამსახველი სერთიფიკატები. სასურველი ამ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დოკუმენტაციას ახლდეს პედაგოგთა რეფლექსიები, რათა ნათლად ჩანდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დინამიკა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულება ტრენერთან,<br>• ბრძანება ტრენინგის ჩატარების<br>• „ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები“, შეფასების ჯგუფის დებულება,<br>• გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების ფორმა,<br>• კათედრის ხელმძღვანელების გაკვეთილებზე დასწრების ფორმა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში არის დაცულობის, ურთიერთპატივისცემისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო. სკოლაში ყველა მასწავლებელს ეპყრობიან თანაბარი პატივისცემით, რაც მათ ხელს უწყობს გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმი, იყვნენ განსაკუთრებით კრეატიულები და ჰქონდეთ მეგობრული და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა. სასკოლო ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული როგორც მასწავლებელი და მოსწავლე, ასევე მოსწავლის მშობელი, კანონიერი წარმომადგენელი. რაც დადასტურდა მშობლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუირებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება,<br>• „სადამრიგებლო მუშაობის დებულება“<br>• მშობლებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან ინტერვიუირება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გ

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐სტანდარტი დარღვეულია |

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

1. დანართი 1 - დღის წესრიგი ( 2 ფურცელი)

ქ.თბილისი 10.07.20
(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 35



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.